სსიპ ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში:

6 თებერვალი 2024 წელი

წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით სასწავლებელმა უმასპინძლა მწერალ თამარ გეგეშიძეს, სადაც მწერალმა ისაუბრა კითხვის მნიშვნელობაზე და უპასუხა მოსწავლეთა შეკითხვებს.

10 თებერვალი 2024 წელი

სასწავლებელში ჩატარდა ლექცია-გაკვეთილი მოსწავლეთა და ახალგაზრდა პედაგოგებისთვის ვაგანოვას მეთოდის შესახებ.

12 თებერვალი 2024 წელი

ხელოვნების მუზეუმი
შემეცნებითი ტური
სასწავლებლის მოსწავლეებმა დაათვალიერეს ხელოვნების მუზეუმის ფონდებში დაცული ძველი და თანამედროვე ქართული თეატრის, კინოს, მუსიკის და ქორეოგრაფიის ისტორიის ამსახველი უმდიდრესი მასალა: თეატრალური კოსტიუმები, აფიშები, პროგრამები, თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების კოლექციები და სხვა. მათ ასევე შესაძლებლობა მიეცათ ენახათ ქართული ანიმაციური ფილმი "ჭირი" , რომელმაც 1984 წელს კანის ფესტივალზე "ოქროს პალმის რტო" მიიღო , როგორც ფესტივალის საუკეთესო მოკლემატრაჟიანმა ფილმმა
მონაწილეობდნენ სწავლების მე-5 წლის მოსწავლეები

19 თებერვალი 2024 წელი

ღია გაკვეთილი მსახიობის ოსტატობაში, სადაც წარმოდგენილი იქნა მინიატურა: "მერხი მოსწავლის გარეშე", რომელიც პასუხობს აქტუალურ თემას მოსწავლეთა ბულინგს.
მონაწილეობდნენ სწავლების მე-5 წლის მოსწავლეები

24 თებერვალი 2024 წელი

ბალეტის მოყვარულთა საზოგადოება, ქალბატონ ნინო ანანიაშვილის ინიციატივით, დაესწრო ვახტაგ ჭაბუკიანისადმი მიძღვნილ გალა კონცერტის მოსამზადებელ რეპეტიციას ოპერისა და ბალეტის თეატრის მცირე სცენაზე.
მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების მე-4, 6, 7, 8 მოსწავლეები

27 თებერვალი 2024 წელი




ვახტანგ ჭაბუკიანის დამსახურება ქართული საბალეტო ხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციაში არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს მასშტაბით უდიდესია! რეფორმატორი, რომელმაც საბალეტო ხელოვნებაში მამაკაცის როლს განსაკუთრებული მნიშვნელობა და გმირული სახე მიანიჭა. როგორც მოცეკვევამ, ბალეტმაისტერმა და პედაგოგმა მან დააკავშირა ერთმანეთთან საბალეტო კლასიკა და ქართული ხალხური ცეკვა, რითაც ეროვნული კლასიკური ბალეტის სკოლა შექმნა.
ვახტანგ ჭაბუკიანის შემოქმედებით ცხოვრებასა და ღვაწლზე უსასრულოდ შეიძლება საუბარი...
დღეს, 27 თებერვალს, აღვნიშნავთ ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადების დღეს, რომლის უკვდავ სახელსაც თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელი ამაყად ატარებს!

27 თებერვალი 2024 წელი

მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ვ.ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის მოსწავლეებმა, ტრადიციისამებრ, პატივი მიაგეს გამოჩენილი მოცეკვავის, ბალეტმაისტერისა და პედაგოგის - ვახტანგ ჭაბუკიანის ხსოვნას

27 თებერვალი 2024 წელი

ვ.ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის მოსწავლეები ესტუმრნენ გამოჩენილი მოცეკვავის, ბალეტმაისტერისა და პედაგოგის - ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალურ სახლ-მუზეუმს, გაეცნენ ისტორიული ფიგურის ცხოვრებისა და შემოქმედების ურთულეს გზას, რითაც პატივი მიაგეს ვახტანგ ჭაბუკიანის ხსოვნას...

მადლობას ვუხდით მუზეუმის ადმინისტრაციას გულითადი მიღებისათვის!

4 მარტი 2024 წელი

სასწავლებელში ჩატარდა ლექცია- სემიანარი ინკლუზიური ხელოვნების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების თაობაზე.

მონაწილეობდნენ სწავლების მე-5 წლის მოსწავლეები

5 მარტი 2024 წელი

სასწავლებელში ჩატარდა ლექცია-სემინარი, სადაც განხილული იყო გენდერული თანასწორების პრინციპები. აღნიშნული ღონისძიება მიეძღვნა დედის დღეს და ქალთა საერთოშირო დღეს.
მონაწილეობდნენ სწავლების მე-5 წლის მოსწავლეები

6 მარტი 2024 წელი

თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში, ახალგაზრდული პარლამენტის ორგანიზებით "ნიჭიერთა საღამო" გაიმართა.
ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ჩვენი სასწავლებლის სწავლების VI წლის მოსწავლეები: თათია გულიშვილი, თეკლა ნოზაძე და ნანი კოშკელოვი.
გოგოებმა უნიჭიერეს მოსწავლეებს შორის ღირსეულად წარადგინეს ჩვენი სასწავლებელი.

9-10 მარტი 2024 წელი

ვ. ჭაბუკიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი გალა-კონცერტი
გალაში მონაწილეობა მიიღეს ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელის მოსწავლეებმა და თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასის მსახიობებმა.

27 თებერვალს ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადებიდან 114 წელი შესრულდა!

18 მარტი 2024 წელი

სასწავლებელში ჩატარდა ღია გაკვეთილი სახასიათო ცეკვაში.
მონაწილეობდნენ სწავლების მე-6 წლის მოსწავლეები

21 მარტი 2024 წელი

სასწავლებელში გაიმართა ღონისძიება, რომელიც მიეძღვნა დაუნის სინდრომის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.
მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების პირველი და მეოთხე წლის მოსწავლეები

18 - 28 მარტი 2024 წელი

ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლეებმა, იტალიის ქალაქ ლეჩეში DOMENICO MODUGNO სახელობის საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე დიდი წარმატებით იასპარეზეს. პირველი ადგილი და ოქროს მედალი კლასიკურ ვარიაციებში: თათა გრიგოლაშვილი, მარი ყულიჯანიშვილი; პირველი ადგილი და ოქროს მედალი კლასიკურ ცეკვაში. ორეული: ელენე შველიძე, ემმა ჩერნიშოვა; პირველი ადგილი და ოქროს მედალი ჯგუფურ ცეკვაში: თეა გადაბაძე, ნატალია კანდელაკი, კატო თანიაშვილი; ვერცხლის მედალი და მეორე ადგილი კლასიკურ ვარიაციაში: ემმა ჩერნიშოვა; მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი თანამედროვე ცეკვაში : მარი ყულიჯანიშვილი; ბრინჯაოს მედალი და მესამე ადგილი კლასიკურ ვარიაციაში : ნუცა ბურჭულაძე ;ბრინჯაოს მედალი და მესამე ადგილი კლასიკურ ცეკვაში. ორეული: მარიამ ჩიტალაძე, თამარ კაკაშვილი; აღსანიშნავია, რომონკურსში მონაწილე სხვადასხვა ქვეყნების (იტალია, ტაივანი, პერუ, , სომხეთი, მექსიკა,დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, ბოსნია-ჰერცოგოვინა, კვიპროსი, იაპონია, ლატვია, საქართველო, აშშ, რუმინეთი, ტაილანდი და სხვა) საბალეტო სასწავლებლებს შორის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელმა მესამეჯერ მოიპოვა საუკეთესო საბალეტო სკოლის ტიტული (პირველად 2018 წელს ლატვიის ქალაქ რიგაში “ EVENTUS” საერთაშორისო ფესტივალზე, მეორედ 2023 წელს- იტალიის ქალაქ ლეჩეში „DOMENICO MODUGNO“ სახელობის საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე).

29 მარტი 2024 წელი

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მცირე სცენაზე გაიმართა შეხვედრა ქ-ნ ნინო ანანიაშვილთან
საუბრის თემა: ბალეტი და ეროვნება

საუბარი მიჰყავდა ბალეტის კრიტიკოს ისმენე ბრაუნს.

შეხვედრას ესწრებოდნენ სასწავლებლის მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე სწავლების წლის მოსწავლეები.

5 აპრილი 2024 წელი

შეხვედრა მწერალ ნოდარ დუმბაძის ქალიშვილთან. შეხვედრის თემა : ნ. დუმბაძის შემოქმედება და პირადი ცხოვრება.

მონაწილეობდნენ : სწავლების მესამე, მეოთხე და მეხუთე წლის მოსწავლეები.

22 აპრილი 2024 წელი

"დედამიწის დღესთან" დაკავშირებით სასწავლებლის მოსწავლეები შეურთდნენ გარემოს დაცვის მხარდასაჭერ კამპანიას.

მონაწილეობდნენ სწავლების პირველი, მეორე, მესამე ,მეოთხე და მეხუთე წლის მოსწავლეები.

29 აპრილი 2024 წელი

სასწავლებელში ჩატარდა სწავლების მერვე წლის დამამთავრებელი გამოცდები :

ბალეტის მსახიობის განხრა

სახასიათო და თანამედროვე ცეკვების განხრა

კურსდამთავრებულებს ვუსურვებთ წარმატებას ცხოვრების ახალ ეტაპზე.

11-19 მაისი 2024 წელი

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართება სამმოქმედებიანი სპექტაკლი "მძინარე მზეთუნახავი", სადაც მონაწილეობა მიიღეs სასწავლებლის სწავლების მეორე, მესამე და მეოთხე წლის მოსწავლეებმა

21 მაისი 2024 წელი

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი. ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელის გამოსაშვები საღამო ორ მოქმედებად საკონცერტო პროგრამა და პრემიერა "ჩხიკვთა ქორწილი."

მუსიკა: ზურაბ ნადარეიშვილი

დამდგმელი ქორეოგრაფი: ალექსეი ფადეეჩევი

დამდგმელი ქორეოგრაფის ასისტენტები: ქეთი მოწონელიძე, ტატიანა როსტარგუევა

მხატვარი: ანა მგალობლიშვილი

სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი

მონაწილეობდნენ:
სასწავლებლის მოსამზადებელი ჯგუფის - I, II, III და IV კლასის მოსწავლეები და სწავლების -I, II, III , IV, V, VI, VII, VIII წლის მოსწავლეები

5 ივნისი 2024 წელი

რუსთაველის ეროვნულ თეატრში ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავის ია ნინიძის შემოქმედებითი საქმიანობის 55 წლისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. მონაწილეობდნენ:

სწავლების მე-2 და მე-4 წლის მოსწავლეები

26 ივნისი 2024 წელი

თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მცირე სცენა.

ქალბატონ ნინო ანანიაშვილის ინიციატივით ბალეტის მოყვარულთა საზოგადოებამ

ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის

მოსწავლეები დააჯილდოვა სიგელებით და სტიპენდიებით.

1-9 ივლისი 2024 წელი

იტალიის ქალაქ მესაგნეში,1-9 ივლისს მიმდინარე საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე "იტალიის ტალანტები" წარმატებით იასპარეზეს:

1. კლასიკურ ვარიაციაში ,,პიციკატო“ ორეული- პირველი ადგილი და ოქროს მედალი დაიმსახურეს - თამარ გოგოლაშვილმა და ეკატერინე ქიზიყურაშვილმა.

2. პირველი ადგილი და ოქროს მედალი ჯგუფურ ცეკვაში ,,საბავშვო ცეკვა“ დაიმსახურეს- ელიზაბედ კეჟერაშვილმა, ანასტასია ტოკლიკიშვილმა,ბარბარე გუგუჩიამ.

3. მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი ჯგუფურ ცეკვაში "არლეკინადა" დაიმსახურეს - ანანო თვარაძემ, ელენე აბულაძემ, ნუცა ასლამაზაშვილმა.

4. მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი ჯგუფურ ცეკვაში "ტარანტელა" დაიმსახურეს - ნელი შუკაკიძემ, ნინო სიდამონიძემ, ბარბარე ნიკოლაძემ, მარიამ ჩიგოგიძემ.

19 სექტემბერი 2024 წელი

სასწავლებელში ჩატარდა ლექცია- სემინარი თემაზე - "შშმ პირების გააქტიურება და მათი კულტურულ ცხოვრებაში ჩართვა"

მონაწილეობდნენ:
სწავლების მე-4 წლის მოსწავლეები

26 სექტემბერი 2024 წელი

მთაწმინდის პარკი

ღონისძიება მიეძღვნა კულტურულ- შემოქმედებითი და სპორტული პროექტების მხარდაჭერას . მონაწილეობდნენ:

სწავლების მე-6 წლის მოსწავლეები

26-29 სექტემბერი 2024 წელი

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის 173-ე სეზონის გახსნა, სპექტაკლი " დონ კიხოტი" მონაწილეობდნენ:

მონაწილეობენ სწავლების მე-3 და მე-4 წლის მოსწავლეები

9 ოქტომბერი 2024 წელი

სსიპ ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელში ჩატარდა მასტერ კლასი ქართულ ცეკვაში.

მონაწილეობდნენ:
სწავლების მე-6 და მოსამზადებელი ჯგუფის მე -3, 4 კლასის მოსწავლეები.

10 ოქტომბერი 2024 წელი

სსიპ ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელში ჩატარდა მასტერ კლასი კლასიკურ ცეკვაში

მონაწილეობდნენ:
მოსამზადებელი ჯგუფის მე -3, 4 კლასის მოსწავლეები.

28 ოქტომბერი 2024 წელი

სსიპ ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელში ჩატარდა საჩვენებელი გაკვეთილი კლასიკურ ცეკვაში.

მონაწილეობდნენ:

მოსამზადებელი ჯგუფის მე -2 წლის მოსწავლეები

1 ნოემბერი 2024 წელი

სასწავლებელში ჩატარდა მასტერკლასი კლასიკურ ცეკვაში.

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის სწავლების პირველი წლის მოსწავლეები.

6 დეკემბერი 2024 წელი

სასწავლებელში ჩატარდა ლექცია - სემინარი, თემაზე გენდერული თანასწორობის პრინციპები.

მონაწილეობდნენ:

მონაწილეობდნენ სწავლების მეექვსე წლის მოსწავლეები.

16 დეკემბერი 2024 წელი

სასწავლებელში ჩატარდა ლექცია- სემინარი მსახიობის ოსტატობაში, სასწავლებლის პროექტის - "გაიცანი წინაპარი" -ს ფარგლებში განხილული იქნა სოხუმის თეატრის რეპერტუარიდან ოთხი სპექტაკლი: "ვაჟიშვილი", "მარტორქები", "სტუმარი" და "იქ, ჩვენთან" აღნიშნულ სპექტაკლებზე თეატრის მოწვევით იმყოფებოდნენ სასწავლებლის მოსწავლეები. მადლობას ვუხდით სოხუმის თეატრის ადმინისტრაციასა და მსახიობებს გაწეული ქველმოქმედებისათვის.

მონაწილეობდნენ:

მონაწილეობდნენ სწავლების მეექვსე წლის მოსწავლეები.

20 დეკემბერი 2024 წელი

სასწავლებელში ჩატარდა ღია გაკვეთილი კლასიკურ ცეკვაში.

მონაწილეობდნენ:

მოსამზადებელი ჯგუფის I, II კლასის მოსწავლეები.

23 დეკემბერი 2024 წელი

სასწავლებელში ჩატარდა ღია გაკვეთილი ქართულ ცეკვაში.

მონაწილეობდნენ:

მოსამზადებელი ჯგუფის III, IV კლასის მოსწავლეები.

24 დეკემბერი 2024 წელი

სასწავლებელში ჩატარდა ღია გაკვეთილი კლასიკურ ცეკვაში.

მონაწილეობდნენ:

მოსამზადებელი ჯგუფის I, II კლასის მოსწავლეები.

25 დეკემბერი 2024 წელი

სასწავლებელში ჩატარდა ღია გაკვეთილები კლასიკურ, ისტორიულ - ყოფით და ქართულ ცეკვაში.

მონაწილეობდნენ:

მოსამზადებელი ჯგუფის III, IV კლასის მოსწავლეები.